

პირსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

PEARSON v. THE UNITED KINGDOM

საჩივარი no. 8374/03

22/08/2006

(რელევანტური ამონარიდები)

ფაქტობრივი გარემოებები

7. მომჩივანი დაიბადა 1942 წელს და ცხოვრობს ქ. ბირმინგემში.

8. 63 წლის მომჩივანი (მამაკაცი) სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებას 65 ასაკამდე ვერ მიიღებდა, მაშინ როცა ქალს სახელმწიფო პენსიის მოთხოვნა 60 წლიდან შეეძლო. მომჩივანი ამჟამად უმუშევრად ითვლებოდა, მაგრამ სამსახურში დაბრუნების შემთხვევაში, მას და ნებისმიერ პოტენციურ დამსაქმებელს ეროვნული დაზღვევის შენატანების გადახდა დაეკისრებოდა.

9. 2002 წლის 4 თებერვალს, მომჩივანმა უზენაეს სასამართლოში შეიტანა სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სოციალური დახმარების სააგენტოს წინააღმდეგ და სხვა საკითხებთან ერთად, ამტკიცებდა, რომ 60 წლიდან პენსიის მიღებაზე უარი დისკრიმინაციული იყო. 2002 წლის 2 ოქტომბერს მომჩივნის სარჩელი უარყოფილი იქნა იმ საფუძველით, რომ სარჩელის დეტალები არ ავლენდა სარჩელის აღძვრის გონივრულ საფუძველს (სამოქალაქო საპროცესო წესი 3.4.2.). მომჩივანს, 2003 წლის 27 თებერვალს სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უარი ეთქვა.

სამართალი

I. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა 1-ელი დამატებით ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში

14. მომჩივანი დავობდა, რომ სახელმწიფო პენსიაზე მიღების უფლება მას 65 წლის ასაკიდან ჰქონდა, ხუთი წლით გვიან, ვიდრე ქალს.

ა. მხარეთა წარდგენები

1. მომჩივანი

15. მომჩივანი აშკარა დისკრიმინაციად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო პენსიას ქალების თითქმის ორჯერ მეტი რაოდენობა იღებდა მამაკაცებთან შედარებით, თუმცა ქალებს საპენსიო ფონდში ნაკლები თანხა ჰქონდათ შეტანილი, უფრო ადრე გახდნენ ამ პენსიის მიმღებნი და უფრო დიდხანს ცოცხლობდნენ. ამასთან, მამაკაცებს სულ

უფრო მეტად უჭირდათ სამუშაოს პოვნა, 50 წელს გადაცილებული მამაკაცების ნახევარზე მეტი უმუშევრები იყვნენ, იძულებულნი იყვნენ ვადაზე ადრე პენსიაზე გასულიყვნენ ან დასაქმებულიყვნენ დაბალანაზღაურებად ნახევარ განაკვეთზე.

16. მომჩივანმა გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა პენსიის ღირებულებისა და პენსიების ხელმისაწვდომობის შემცირების კუთხით და აღნიშნა, რომ ეკონომიკური მიზეზები არ ამართლებდა იმ ფაქტს, რომ პენსიები არ გაიცემოდა ადამიანის უფლებათა შესაბამისად, რადგან სახელმწიფომ შეძლო მილიარდობით ფუნტის მოძიება სამხედრო და უსაფრთხოების მიზნებისთვის, ასევე კერძო კომპანიების საპენსიო სქემების სუბსიდირებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნულ დაზღვევის ფონდს 30 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ზედნამატი შემოსავალი ჰქონდა, მისი აზრით, არ არსებობდა არანაირი სამართლებრივი ან ეკონომიკური საფუძველი, რომელიც ხელს შეუშლიდა მთავრობას სახელმწიფო პენსიების დაუყოვნებლივ გათანაბრებაში.

17. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ ადგილი ჰქონდა ევროკავშირის დირექტივების, ადამიანის უფლებათა აქტისა და ევროკავშირის სოციალური ქარტიის აშკარა დარღვევას. მთავრობა 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგონებდა საბაზს სახელმწიფო პენსიების გათანაბრების შეუძლებლობისთვის, თუმცა ეკონომიკურად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე საფრანგეთი და სხვა ქვეყნები, რომლებმაც ეს გააკეთეს (ანუ დააკმაყოფილეს მოთხოვნა). მან აღნიშნა, რომ მთავრობის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ გათანაბრების მისაღწევად აუცილებელი იყო 2020 წლამდე ლოდინი, რადგან ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ქალთა ცხოვრების წესზე, მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა ადამიანის უფლებებთან ან თანასწორობასთან და არ ამართლებდა მოსახლეობის მეორე ნახევრისთვის მათი უფლებების ჩამორთმევას.

2. მთავრობა

18. მთავრობა დაეთანხმა, რომ წინამდებარე საქმეზე ვრცელდებოდა პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი და რომ მე-14 მუხლი ვრცელდებოდა სახელმწიფო პენსიის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დისკრიმინაციის მიმართ. მთავრობამ განაცხადა, რომ მამაკაცებისა და ქალებისთვის განსხვავებულ საპენსიო ასაკს ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სახელმწიფო პენსიის უზრუნველყოფის სოციალური, ისტორიული და ეკონომიკური საფუძველი, ასევე 2010-2020 წლებში ასაკის პროგრესულად გათანაბრების გადაწყვეტილება მოიცავდა რთულ სოციალურ და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიმართაც მთავრობა ფართო თავისუფალი შეფასების ფარგლებით სარგებლობდა. ეს არ იყო სქესობრივი დისკრიმინაციის მარტივი საქმე, არამედ მოიცავდა სამართლიანი ბალანსის საკითხებს პირველი დამატებითი ოქმის

პირველი მუხლის შესაბამისად, რომელთა მიმართებითაც სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ პატივს სცემდა კანონმდებლის შეფასებას ასეთ საკითხებში, თუ ის არ იქნებოდა მოკლებული გონივრულ საფუძველს.

19. მთავრობამ განაცხადა, რომ პარლამენტმა გადაწყვიტა რეფორმის განხორციელება 2020 წლიდან სახელმწიფო საპენსიო ასაკის გათანაბრების მიზნით, რადგან ამ ზომას უზარმაზარი ფინანსური შედეგები მოჰყვებოდა როგორც ფიზიკური პირებისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის. კერძოდ, უეცარი ცვლილება უარყოფითად იმოქმედებდა იმ ქალების ინტერესებზე, რომლებიც 60 წლის ასაკში სახელმწიფო პენსიის მიღებას ელოდნენ, ხოლო ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდი ადამიანებს საშუალებას აძლევდა, შეეცვალათ მოლოდინები და შესაბამისად მოეწყოთ საქმეები. მთავრობისთვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რომ 60 წლის ყველა მამაკაცი პენსიით ეზრუნველყო ზემოაღნიშნული 2020 წლის გათანაბრებამდე, რადგან ეს მოითხოვდა მნიშვნელოვანი რესურსების გადამისამართებას სხვა საჭიროებებიდან (სავარაუდო ღირებულება 75 მილიარდი ფუნტი სტერლინგი). საჯარო კონსულტაციების შემდეგ, მთავრობამ გადაწყვიტა, რომ საპენსიო ასაკი ყველასთვის 65 წლამდე აეწია, შემდეგი მოსაზრებების საფუძველზე: ადამიანები უფრო ხანგრძლივად და ჯანმრთელად ცხოვრობდნენ; მომუშავე ასაკის ნაკლებ ადამიანს მოუწევდა მეტი პენსიონერის რჩენა; 2023 წლისთვის სახელმწიფო ხარჯები პენსიებზე გაორმაგდებოდა; და პროფესიული (კორპორატიული) საპენსიო სქემები ისედაც ძირითადად უკვე 65 წლის ასაკზე იყო გათანაბრებული. მთავრობამ აღნიშნა, რომ ევროკავშირი დაეთანხმა, რომ წევრ სახელმწიფოებს უნდა მიეცეთ გარდამავალი პერიოდი თანაბარ ასაკობრივ ჯგუფზე გადასვლის დასაგეგმად და განსახორციელებლად. გაერთიანებული სამეფოს გეგმები სხვა განვითარებული ქვეყნების გეგმებს შეესაბამებოდა და ევროკომისიას არასდროს უთქვამს, რომ მისი ზომები რაიმე ფორმით არასაკმარისი ან არაპროპორციული იყო, თუმცა ირიბად მიიღო ისინი.

20. მთავრობამ მიუთითა საქმეზე *Stec and Others v. the United Kingdom* [GC] ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებაზე, Nos. 65731/01 და 65900/01, 2006 წლის 12 აპრილი და აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებამ განიხილა და გადაჭრა საქმეში არსებული არსებითი საკითხები, კერძოდ, რომ არსებობდა თავისუფალი შეფასების ძალიან დიდი ფარგლები და რომ უთანასწორობის აღდგენის ზუსტი დროისა და საშუალებების შესახებ გადაწყვეტილებები არ იყო იმდენად აშკარად დაუსაბუთებელი, რომ გადაეჭარბებინა აღნიშნული ფარგლებისათვის.

ბ. სასამართლოს შეფასება

21. კონვენციის მე-14 მუხლს დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია; მას მხოლოდ ამ დებულებებით დაცული „უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასთან“

დაკავშირებით აქვს ძალა. მისი გამოყენება არ შეიძლება თუ სადავო ფაქტები არ ხვდება ერთი ან მეტი მათგანის ფარგლებში (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, *Gaygusuz v. Austria*, 1996 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ანგარიშები, 1996-IV, §36). სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობა ამ საქმეში არ დავობს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება ხვდება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში და შესაბამისად, მე-14 მუხლი გამოიყენება ამ მხრივ დისკრიმინაციის შესახებ ნებისმიერი საჩივრის მიმართ. შესაბამისად, მე-14 მუხლი წინამდებარე საქმეზე გამოყენებადია.

22. ამ საქმეში მთავარი განსახილველი საკითხია, წარმოადგენს თუ არა დისკრიმინაციას კონვენციის მე-14 მუხლის საპირისპიროდ მოპყრობის განსხვავებული წესი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ მომჩივანს არ შეეძლო სახელმწიფო პენსიის მიღება 65 წლის ასაკამდე, მაშინ როდესაც ქალს ეს უფლება 60 წლის ასაკში მიენიჭა.

23. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მე-14 მუხლის მიზნებისთვის განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას „არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება“, ანუ თუ ის არ ისახავს „კანონიერ მიზანს“ ან თუ არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის. ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული თავისუფალი შეფასების ფარგლებით იმის შეფასებისას, ამართლებს თუ არა და რა ხარისხით, სხვაგვარად მსგავს სიტუაციებში არსებული განსხვავებები განსხვავებულ მოპყრობას. თუმცა, სასამართლოს მიერ მხოლოდ სქესის საფუძველზე დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობის კონვენციასთან თავსებადად მიჩნევისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზების წარდგენაა საჭირო (იხ., სხვა საკითხებთან ერთად, *Willis v. the United Kingdom*, no. [36042/97](#), ECHR 2002-IV, § 39).

24. ამასთან, უნდა დავაბალანსოთ საპირისპირო მოსაზრება, რომ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას საკანონმდებლო ორგანოსთვის ხელმისაწვდომი თავისუფალი შეფასების ფარგლები ფართო უნდა იყოს (იხ., სხვა საკითხებთან ერთად, *James v. the United Kingdom*, 1986 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A, №98, § 46). ეს ეხება დაბეგვრის ან შენატანების სისტემებს, რომლებიც გარდაუვლად უნდა განასხვავონ გადასახადის გადამხდელთა ჯგუფები და რომელთა განხორციელება გარდაუვლად ქმნის ზღვრულ სიტუაციებს. მთავრობას ხშირად შეიძლება მოუწიოს ბალანსის პოვნა შემოსავლების გაზრდის საჭიროებასა და სხვა სოციალური მიზნების საგადასახადო პოლიტიკაში ასახვას შორის. ცხადია, ეროვნული ხელისუფლება უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რათა შეაფასოს ეს საჭიროებები და მოთხოვნები, რაც ამ შემთხვევაში მოიცავს პენსიების დაფინანსებასთან დაკავშირებულ რთულ საკითხებს,

რომლებიც გავლენას ახდენს მთლიანად საზოგადოებაზე. აღნიშნული კუთხით, ევროპული სასამართლო, როგორც წესი, პატივს სცემს საკანონმდებლო ორგანოს მიერ არჩეულ პოლიტიკურ არჩევანს, თუ ის აშკარად არაგონივრული არ არის (იხ., როგორც უახლესი წყარო, *Stec and Others v. the United Kingdom*, ციტირებული ზემოთ, § 52).

25. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულ *Stec*-ის საქმეში დიდ პალატას ჰქონდა შესაძლებლობა განეხილა სავარაუდო უთანასწორობა, რომელიც წარმოიშვა სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული შემცირებული შემოსავლის შემწეობის მიღების უფლებიდან. მან ასევე აღნიშნა მამაკაცებსა და ქალებს შორის სახელმწიფო პენსიის ასაკთან დაკავშირებით განსხვავებული მოპყრობის შესახებ.

“61. მამაკაცებისა და ქალებისთვის საპენსიო ასაკის დიფერენცირება პირველად გაერთიანებულ სამეფოში 1940 წელს, კონვენციის ძალაში შესვლამდე დიდი ხნით ადრე შემოიღეს, თუმცა ეს სხვაობა დღემდე შენარჩუნებულია (იხილეთ ზემოთ 32-ე პუნქტი). როგორც ჩანს, განსხვავებული მოპყრობა მიღებული იქნა ფინანსური უთანასწორობისა და სირთულეების შესამცირებლად, რაც გამომდინარეობდა ქალის ტრადიციული, ანაზღაურებადი როლიდან - სახლში ოჯახზე ზრუნვით, სამსახურში ფულის შოვნის ნაცვლად. ამრიგად, საპენსიო ასაკის დიფერენცია თავდაპირველად მამაკაცებსა და ქალებს შორის „ფაქტობრივი უთანასწორობის“ გამოსწორებას ისახავდა მიზნად და, როგორც ჩანს, ობიექტურად გამართლებული იყო მე-14 მუხლის შესაბამისად (იხილეთ ზემოთ 51-ე პუნქტი).

62. აქედან გამომდინარეობს, რომ საპენსიო ასაკის სხვაობა გამართლებული იყო მანამ, სანამ სოციალური პირობები არ შეიცვალა ისე, რომ ქალები აღარ იქნებოდნენ არსებითად დაზარალებულნი, შედარებით მოკლე სამუშაო სტაჟის გამო. ეს ცვლილება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებლად ეტაპობრივი უნდა ყოფილიყო, და რთული ან შეუძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, როდესაც მამაკაცების მიმართ საპენსიო ასაკის სხვაობით გამოწვეული უსამართლობა ქალების არახელსაყრელი მდგომარეობის გამოსწორების საჭიროებას აჭარბებდა. სტრასბურგის სასამართლოსთვის, ზემოხსენებულთან დაკავშირებით გარკვეული ინდიკატორები ხელმისაწვდომია. ამგვარად, 1993 წლის “თეთრ წიგნში” („თეთრი წიგნი“ გაერთიანებულ სამეფოში არის სამთავრობო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ასახავს მომავალი კანონმდებლობის წინადადებებს და წარმოადგენს საფუძველს განხილვისა და პოტენციური ცვლილებებისთვის) მთავრობა ამტკიცებდა, რომ ანაზღაურებად დასაქმებულ ქალთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამიტომ, თუ 1967 წელს დასაქმებულთა მხოლოდ 37% იყო ქალი, 1992 წელს ეს პროპორცია 50%-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, 1977 და 1978 წლებში პენსიის უფლების შეფასების სხვადასხვა რეფორმა განხორციელდა იმ ქალების სასარგებლოდ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არ იყვნენ ანაზღაურებად სამსახურში. 1986 წლის მდგომარეობით, დამსაქმებლისთვის უკანონო იყო მამაკაცებისა და ქალებისთვის განსხვავებული საპენსიო ასაკის დაწესება (იხილეთ ზემოთ 33-ე პუნქტი).

63. სასამართლოს წინაშე არსებული ინფორმაციის თანახმად, მთავრობამ პირველი, კონკრეტული ნაბიჯი გადადგა ორივე სქესისთვის ერთი და იგივე საპენსიო ასაკის დადგენისკენ 1991 წლის დეკემბერში „მწვანე წიგნის“ (გაერთიანებულ სამეფოში „მწვანე წიგნი“ არის სამთავრობო კონსულტაციების დოკუმენტი, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებამდე საჯარო დებატებისა და განხილვისთვის წინასწარი პოლიტიკური იდეების შეთავაზებას გვთავაზობს) გამოქვეყნებით. ექვგარეშა, რომ შესაძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ეს ნაბიჯი შეიძლებოდა ან უფრო ადრეც უნდა გადაგებულიყო. თუმცა, როგორც სასამართლომ აღნიშნა, მამაკაცებისა და ქალების

სამუშაო ცხოვრებაში თანასწორობის განვითარება თანდათანობითი პროცესი იყო და რომ ეროვნული ხელისუფლება უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება აღნიშნულის შესაფასებლად (იხილეთ ზემოთ 52-ე პუნქტი). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმეტესობა კვლავ ინარჩუნებს განსხვავებას იმ ასაკში, როდესაც მამაკაცები და ქალები ხდებიან სახელმწიფო პენსიის მიმღებნი (იხილეთ ზემოთ 37-ე პუნქტი). ევროკავშირის ფარგლებში ეს პოზიცია აღიარებულია დირექტივაში მოცემული გამონაკლისით (იხილეთ ზემოთ 38-ე პუნქტი).

64. სქესთა შორის ფინანსური უთანასწორობის გამოსწორების მიზნით აღნიშნული ზომის თავდაპირველი გამართლების, ქალთა სამუშაო ცხოვრებაში ცვლილებების ნელა განვითარებადი ხასიათისა და ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის საერთო სტანდარტის არარსებობის გათვალისწინებით (იხ. Petrovic, ციტირებული ზემოთ, §§ 36-43), სასამართლო ადგენს, რომ გაერთიანებული სამეფოს კრიტიკა არ შეიძლება იმის გამო, რომ მან უფრო ადრე არ დაიწყო ერთიანი საპენსიო ასაკისკენ მიმავალი გზა.”

26. წინამდებარე საქმეში სავარაუდო დისკრიმინაცია სწორედ ზემოთ განხილულ სახელმწიფო პენსიაზე უფლების მიღების ასაკობრივ განსხვავებას ეხება. დიდი პალატის დასკვნის გათვალისწინებით, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ მამაკაცებისა და ქალებისთვის საპენსიო ასაკის გათანაბრების 2020 წლამდე გადადების პოლიტიკა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში ჯდება, სასამართლოს ამ საქმეშიც იგივე დასკვნის გაკეთება უჭირს.

27. შესაბამისად, კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას, პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან ერთობლიობაში, ადგილი არ ჰქონია.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად

ადგენს, რომ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან ერთობლიობაში ადგილი არ ჰქონია.